საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №341
2017 წლის 27 სექტემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით (ვებგვერდი, 31/07/2012, სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.016424) დამტკიცებული ინსტრუქციის 101-ე მუხლის მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

„2^1. ტრანზიტის სასაქონლო ოპერაციის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების (მიღება-გადაცემის) აქტის ნაცვლად, შესაძლებელია წარდგენილ იქნეს საქონლის გამომგზავნსა (ექსპორტიორი) და გადამზიდავ კომპანიას შორის გაფორმებული კომერციული აქტი ხელშეკრულების პირობების შესრულების დადასტურებისა და გადაზიდვის მომსახურების ანაზღაურების თაობაზე.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **დიმიტრი ქუმსიშვილი**